სააღდგომო სალამი

ღმერთი არავის არასოდეს უხილავს; თუ ერთმანეთი გვიყვარს, ღმერთი ჩვენში მკვიდრობს და მისი სიყვარული სრულყოფილებას აღწევს ჩვენში.

1 იოანე 4, 12

შინ მოვლის სამსახური 2013 წელს გაიხსნა თბილისში და 2018 წლიდან საქართველოს მაღალმთიან რეგიონში დუშეთშიც ფუნქციონირებს. ამ სამსახურის მნიშვნელობა იმაშიც გამოიხატება, რომ ჩვენი თანამშრომლები უმეტეს შემთხვევაში ერთადერთი დამაკავშირებელი არიან ბენეფიციარებს და გარესამყაროს შორის, რადგან ცდილობენ მათი პრობლემების მოგვარებას, დაკავშირებულს დაბერებასთან და მარტოობასთან. როდესაც ჩვენი თანამშრომლები ასეთ ადამიანებთან მიდიან, ამით არა მხოლოდ თავის სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებენ, არამედ მათ ცხოვრებაში შეაქვთ მზრუნველობა, სიყვარული, სითბო და იმედი, ასევე რწმენა იმისა, რომ მარტოობის და ხანდაზმულობის მიუხედავად, ისინი კვლავ საჭირო არიან. ამიტომ ვულოცავთ ბებიებს და ბაბუებს, შეძლებისდაგვარად, შობას და აღდგომას მუდამ პატარა საჩუქრებით.

2020 წლიდან სააღდგომო მილოცვას ქალბატონ გუნილა მალინეუსის ძალისხმევამ ახალი ენერგია შთაბერა. მან სააღდგომო საჩუქრების დარიგებაში მონაწილეობა გერმანული ევროპული სკოლის მე-7-ე კლასელებს შესთავაზა. ბავშვები აქტიურად ჩაერთნენ მომსახურების მიმღებებისთვის ტკბილეულის შესაძენად თანხების შეგროვებაში, მისალოცი ბარათების წერასა და ხატვაში. ტრადიციულად 22 მოსწავლე და 2 მასწავლებელი 16 აპრილს, 9 საათზე ორი მიკროავტობუსით გაემართა დუშეთის რაიონში, სადაც 139 ბენეფიციარი ცხოვრობს 11 სოფელში. გზად ჩვენი თანამშრომლები დაგვხვდნენ და ერთად დავარიგეთ 4-კაციანი ჯგუფებით სააღდგომო საჩუქრები სოფლებში.

ბავშვებმა გაიცნეს მომსახურების მიმღებები, გადასცეს მათ საჩუქრები და ხანდაზმულებს გამოჰკითხეს მათი ცხოვრების შესახებ. შემდეგ შინ მოვლის სამსახურის თანამშრომლებმა გვიამბეს თავიანთი სოფლების შესახებ და ღირსშესანიშნაობები დაგვათვალიერებინეს. პროგრამის დასასრულს ყველანი სოფელ ჩინთში შევიკრიბეთ, რათა ბავშვებს ბუნებაში დაესვენათ, ერთმანეთთან და ჩვენთან ეურთიერთათ და ჩვენი მუშაობის შესახებ შეეტყოთ. 15 საათზე თანამშრომლებს დავემშვიდობეთ და დაღლილები შინისაკენ მიმავალ გზას დავადექით.

წლების მანძილზე ამ სამსახურში მუშაობის მერე კარგად გვესმის, რატომ ახარებს ამ ადამიანებს ჩვენთან შეხვედრა – მარტო საჩუქრების გამო არა. რომ იცოდეთ, როგორ უბრწყინავთ თვალები, როდესაც ბავშვები მათ სახლებში შეაბიჯებენ, როგორ ტირიან ბედნიერებისგან, როგორ ახალგაზრდავდებიან ჩვენ თვალწინ და როგორ ცდილობენ ერთი კამფეტით მაინც გაანებივრონ ეს პატარა ანგელოზები, რომლებიც სულ რამდენიმე წუთით შეფრინდებიან მათ სახლებში. ასეთ წუთებში თქვენც აცნობიერებთ, ურთიერთგაგების, თანაგრძნობის და სიყვარულის რამხელა ენერგიას ატარებთ. დიახ, სიყვარულის! როდესაც ორი თაობის, წარსულის და მომავლის ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან, რწმუნდებით, რამდენად მსხვრევადია აწმყო და რამდენად მნიშვნელოვანია მისი დაცვა და მოფრთხილება.

ბავშვები ხანდაზმულებს უსვამდნენ ცხოვრებისეულ შეკითხვებს, ჩუქნიდნენ ტკბილეულს, უსურვებდნენ ჯანმრთელობას, ბებიები და ბაბუები კი ბავშვებს ლოცავდნენ და მშვიდობიან და ბედნიერ სიცოცხლეს უსურვებდნენ მშობლიურ საქართველოში და მთელ მსოფლიოში. თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, მაგრამ მე მჯერა, რომ ასეთი შეხვედრების შემდეგ ბავშვები უფრო ჭკვიანები ხდებიან და უფრო გაცნობიერებულად უდგებიან საკუთარ თავს და გარშემომყოფ ადამიანებს. ასეთი შეხვედრების შემდეგ გვინდა გვჯეროდეს, რომ მომავალი კარგი იქნება, თუ გვეყოლება ბავშვები, რომლებიც უცხო ადამიანებს გულისხმიერად და მზრუნველობით მოეპყრობიან, თავისი პატარა ხელებით კეთილ საქმეებს გაუკეთებენ, თბილ სიტყვებს მიწერენ და ხელს გაუწოდებენ.

უკვე ორი წელია, სააღდგომო აქცია იმართება გერმანული ევროპული სკოლის და პირადად ქალბატონ გუნილა მალნეუსის ინიციატივით, რომელიც დუშეთის მთელ რაიონში საუკეთესო მოგონებად რჩება. თბილისში ჩვენმა თანამშრომლებმა 96 ადამიანს დაურიგეს სააღდგომო საჩუქრები. 235-ივე ბენეფიციარმა გვთხოვა, დიდი მადლობა გადავცეთ ბავშვებს, სკოლის ხელმძღვანელობას და პროექტის განხორციელებაში ჩართულ ყველა ადამიანს.

„თუ ერთმანეთი გვიყვარს, ღმერთი ჩვენში მკვიდრობს“. დააფასეთ თითოეული წუთი და შეეცადეთ, თქვენს გარშემო მყოფ ადამიანებს სითბო, მზრუნველობა, სიყვარული და გულისხმიერება გაუნაწილოთ. სწორედ ასეთი წუთების გამო ღირს ცხოვრება.

მადონა ურკევიჩი